

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის

ბრძანება №772

2012 წლის 11 ივნისი

ქ. თბილისი

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სპეციალური მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სასწავლო კურსების ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სპეციალური მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სასწავლო კურსების ჩატარების წესის შესახებ“ თანდართული დებულება.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის

სპეციალური სამსახურის უფროსი

სახელმწიფო დაცვის გენერალ-მაიორი თ. ჯანაშია

შეტანილი ვლილებები:

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №34683 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

დანართი №1

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სპეციალური მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სასწავლო კურსების ჩატარების წესის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სპეციალური მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სასწავლო კურსების ჩატარების წესის შესახებ“ დებულება (შემდეგში – დებულება) განსაზღვრავს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში (შემდეგში – სამსახური) სპეციალური მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სასწავლო კურსების დაგეგმვის, ჩატარების, შედეგების შეჯამების და შეფასების წესს.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №34683 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

მუხლი 2

სპეციალური მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სასწავლო კურსების ორგანიზება და ჩატარება მიზნად ისახავს:

ა) სამსახურებრივი ფუნქციების გათვალისწინებით, თანამშრომლების სპეციალურ მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

ბ) თანამშრომლების პროფესიულ გადამზადებას და მათთვის დამატებითი პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას;

გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამსახურში მისაღები, აგრეთვე კადრის სამსახურში ჩასარიცხი კანდიდატების და შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სხვა პირების მოსამზადებელ სწავლებას.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №34683 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

თავი II

სასწავლო კურსების ორგანიზება

მუხლი 3

1. სპეციალური მომზადებისა და პროფესიული გადამზადების სასწავლო კურსები ტარდება გეგმური და არაგეგმური სწავლებების სახით და მათ ჩატარებას უზრუნველყოფს სამსახურის სასწავლო ცენტრი (მთავარი სამმართველო, შემდეგში – სასწავლო ცენტრი) გარდა სპეციალური საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების კურსებისა, რომლებსაც უზრუნველყოფს სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი საჭიროების შემთხვევაში სასწავლო ცენტრის ჩართულობით.

2. გეგმიურ სწავლებას წარმოადგენს სასწავლო კურსი, რომლის ჩატარება წინასწარ, 48 საათით ადრე მაინც არის განსაზღვრული და წარმოადგენს აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს იმისათვის, რომ კანდიდატმა, თანამშრომელმა და სწავლებაზე წარდგენილმა სხვა მსმენელმა შესაბამისად მიიღოს სათანადო მომზადება, აიმაღლოს კვალიფიკაცია ან/და შეინარჩუნოს სავალდებულო პროფესიული მზადყოფნის ხარისხი.

3. არაგეგმიურ სწავლებას წარმოადგენს სასწავლო კურსი, რომელიც წინასწარ არ არის დაგეგმილი, მიზნად ისახავს სწავლებაზე წარდგენილი პირების პირველად ან დამატებით მომზადებას (გადამზადებას) და ტარდება სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №34683 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

მუხლი 4

1. სასწავლო კურსების გეგმას (გარდა სპეციალური საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების კურსებისა) გეგმური სწავლების შემთხვევაში, სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებთან კონსულტაციის საფუძველზე, შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარმოადგენს სასწავლო ცენტრი, ხოლო სპეციალური საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების სასწავლო კურსების გეგმას - სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი.

2. გეგმა სასწავლო ღონისძიებებს შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი ან რამდენიმე თვის ან/და მთლიანი წლის მიხედვით. მასში ცვლილებების შეტანის ინიციატორმა სამსახურის უფროსს უნდა მიმართოს წერილობით და სათანადო მოტივაციით. სამსახურის დაინტერესებული სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელი აღნიშნულის თაობაზე წარადგენს მოტივირებულ პატაკს. სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა ხორციელდება შესაბამისად სასწავლო ცენტრთან ან/და სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტთან შეთანხმებით.

3. სასწავლო კურსების გეგმაში ცვლილებები შეიტანება სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №34683 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

მუხლი 5

არაგეგმიური სწავლებები შეიძლება ჩატარდეს ახალი სტანდარტების, ტექნოლოგიების და მეთოდების დანერგვის, აგრეთვე თანამშრომლების ან/და სხვა შესაბამისი კატეგორიის პირების მომზადების (გადამზადების) საჭიროების განმაპირობებელი სხვა გარემოებების საფუძველზე.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №34683 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

მუხლი 6

1. სპეციალური მომზადებისა და პროფესიული გადამზადების როგორც გეგმური, ისე არაგეგმიური სასწავლო კურსები შეიძლება ჩატარდეს სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების მიხედვით ან/და ფუნქციონალური ნიშნით შერჩეული თანამშრომლებისთვის, აგრეთვე შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სხვა მსმენელებისათვის.

2. სასწავლო კურსებზე მსმენელები მომზადებას (გადამზადებას) გადიან სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით, რომელსაც (გარდა სპეციალური საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების სასწავლო პროგრამისა) სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებთან კოორდინირებულად შეიმუშავენ და დასამტკიცებლად წარმოადგენს სასწავლო ცენტრი. სპეციალური საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების სასწავლო პროგრამას, კურატორ ხელმძღვანელთან შეთანხმებით (საჭიროების შემთხვევაში სასწავლო ცენტრის ჩართულობით) შეიმუშავენ და სამსახურის უფროსს დასამტკიცებლად წარუდგენს სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი. სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ დანაყოფებს, საჭიროების შემთხვევაში, მათ კურატორ ხელმძღვანელ პირებს, ეგზავნებათ პროგრამის ეგზემპლარი საქმისწარმოების დადგენილი წესით. პროგრამა ასევე უნდა გადაეცეს ყველა დანაყოფს, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური, ორგანიზაციული და სამედიცინო უზრუნველყოფის ან სხვა საჭირო ფორმით.

3. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროგრამაში ცვლილების შესატანად, სამსახურის უფროსის სახელზე წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისად სასწავლო ცენტრთან ან/და სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტთან შეთანხმებული, წერილობითი, მოტივირებული მიმართვა (პატაკი).

4. სასწავლო პროგრამაში ცვლილება შეიტანება სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №34683 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

მუხლი 7

1. სასწავლო პროგრამას უნდა ჰქონდეს სათაური (დასახელება), დამტკიცების და საჭიროების შემთხვევაში საიდუმლოების გრიფი, ნომერი, ხელმოწერის თარიღი, სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრაციის თარიღი.

2. სასწავლო პროგრამა, სხვა საჭირო მონაცემების გარდა, უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შესაბამისი სასწავლო კურსის დაწყების და დამთავრების თარიღს;

ბ) სასწავლო საგნებს დღეების და საათების მიხედვით;

გ) პედაგოგიური ფუნქციის განმახორციელებელ პირებს სასწავლო საგნების, დღეების და საათების მიხედვით;

დ) სასწავლო კურსზე წარდგენილ პირთა რიცხოვნობას საერთო და შესაბამისად სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების მიერ წარმოდგენილი რაოდენობის მიხედვით;

ე) სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელის ვალდებულებას, პროგრამის მიხედვით სასწავლო ცენტრისთვის ან/და სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტისათვის სასწავლო კურსზე წარსადგენ პირთა სახელობითი ნუსხის დროულად წარდგენის შესახებ;

ვ) სასწავლო კურსის ჩატარების, გამოცდის, ტესტირების და ნორმატივების ჩაბარებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს, აგრეთვე სწავლებაზე მყოფ პირთა სათანადო სოციალური პირობებით უზრუნველყოფას;

ზ) სწავლებაზე მყოფ მსმენელთა მომზადების დონის გამოსავლენად გამოცდის ფორმას და შედეგების შეფასების კრიტერიუმებს, შედეგების დაფიქსირების და ოფიციალური გაფორმების სახეს.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №34683 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

მუხლი 8

1. სასწავლო კურსზე მივლინებული თანამშრომელი თავისუფლდება თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისაგან. სამსახურებრივი აუცილებლობის შემთხვევაში, სამსახურის

უფროსის დავალებით ან მისი თანხმობით, თანამშრომელი შეიძლება გაიგზავნოს კონკრეტული დავალების შესასრულებლად, რის შემდეგ ის დაუყოვნებლივ უბრუნდება სასწავლო პროცესს.

2. უზრუნველყოფის ღონისძიებების სრულყოფილად და ზედმეტი ხარჯის გარეშე განხორციელების მიზნით, სამსახურის ეკონომიკურ დეპარტამენტს ყოველ სასწავლო დღეზე წინასწარ ეგზავნება სწავლებაზე მყოფ პირთა სახელობითი სია, აგრეთვე დროულად ეცნობება აღნიშნულ ჩამონათვალში ცვლილების შესახებ, რომელსაც შესაბამისად უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრი ან სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი. სასწავლო კურსის (კურსების) ჩატარების კვალიფიციურობის და ორგანიზებულობის ამაღლების მიზნით, სამსახურის უფროსის თანხმობით შესაძლებელია მოწვეული იქნენ სპეციალისტები, აგრეთვე სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიძლება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებს დაეკისროთ სამსახურებრივი მოვალეობების (განისაზღვრება სასწავლო პროგრამით) შესრულება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ადგილზე.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №34683 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

თავი III **სასწავლო კურსების შეჯამება**

მუხლი 9

1. სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ, პროგრამით გათვალისწინებული ფორმით გამოვლინდება თითოეული მსმენელის მომზადების დონე.

2. სასწავლო ცენტრი და სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი შესაბამისად უზრუნველყოფენ სათანადო მასალის (ტესტები, კითხვარები და სხვა) მომზადებას. სპეციალური საბრძოლო მომზადების და გადამზადების კურსებთან დაკავშირებით, ტესტირებას ატარებს სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი, გარდა თეორიული ნაწილისა, რომელიც შეიძლება უზრუნველყოს სასწავლო ცენტრმა. ყველა სხვა შემთხვევაში ტესტირებას ატარებს სასწავლო ცენტრი.

3. შედეგები ფიქსირდება სასწავლო დისციპლინების და მომზადების ცალკეული მიმართულებების მიხედვით, რომელთა გათვალისწინებით გამოითვლება საერთო შეფასების ჯამური ქულა.

4. სპეციალური საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების კურსთან დაკავშირებული ტესტირების შედეგებს (ცალკეული დისციპლინების შედეგები და საერთო შეფასების ჯამური ქულა) სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი უგზავნის სასწავლო ცენტრს. იმ შემთხვევაში, თუ საბრძოლო მომზადებისა და გადამზადების კურსის თეორიულ ნაწილს უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრი, საერთო შეფასების ჯამურ ქულას განსაზღვრავს სასწავლო ცენტრი თეორიული ნაწილის შედეგის და სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №34683 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

მუხლი 10

1. ტესტირების, გამოცდების შედეგები ფიქსირდება სათანადო უწყისებში და შეიტანება შესაბამის მოწმობებში, რომელსაც აფორმებს სასწავლო ცენტრი.

2. სასწავლო ცენტრი თანამშრომლების (კანდიდატების) ტესტირების საბოლოო შედეგებს აცნობებს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელებს, ხოლო კადრების მთავარ სამმართველოს დამატებით უგზავნის მოწმობებს მოსამსახურეთა პირად საქმეებში განთავსების მიზნით.

3. სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, მსმენელებს შეიძლება გადაეცეთ სერტიფიკატები, დიპლომები ან/და სიგელები სამსახურის უფროსის სათანადო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2014 წლის 25 ნოემბრის დადგენილება №34683 - ვებგვერდი, 27.11.2014წ.

მუხლი 11

თანამშრომლის წახალისების შესახებ, აგრეთვე მასთან დაკავშირებული საკადრო გადაწყვეტილების მიღებისას, ტესტირების, გამოცდის და ნორმატივების შედეგები გათვალისწინებული უნდა იქნეს სამსახურის უფროსის სათანადო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.